ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**რამაზი გოგობერიშვილი**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2020 – 01.11.2021
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - ჯანსაღი მომავლისათვის“-ს წევრი;
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
დროებითი სამუშაო ჯგუფები:	1. საკრებულოს სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 24 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 57;

  განკარგულება - 190.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  სოციალურ საკითხთა კომისია:

  ჩატარდა: - 4 სხდომა;

  ბ) სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკიტხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

  გ) ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“

  ჩატარდა: - 2 სხდომა; დასწრება: - 1 სხდომა

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

  1. მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის წევრი
  2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის და რეგისტრაციის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი
  3. ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დაურეგისტრირებელი ფართების მოქალაქეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით აღრიცხვის და არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ჩემთვის, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ამ მიზნით პერიოდულად მაქვს შეხვედრები ქალაქ რუსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. თვითმმართველობა ანხორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

მე როგორც საკრებულოს წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ვესწრები ამომრჩევლებთან შეხვედრებს, ვეცნობი მათ პრობლემებს და განხილვის შემდეგ, ჩემს წინადადებებსა და მოსაზრებებს წარვუდგენ საკრებულოს შემდგომი განხილვის მიზნით.

თარიღი: 29.10.2021

ხელმოწერა: რამაზ გოგობერიშვილი